



### შეფასების რუბრიკა

- დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი ფასდება 0-40 ქულით;
- გამოცდაზე წარმოდგენილი თითოეული მოცემულობა ფასდება 0-100 ქულით;
- დასკვნითი გამოცდის შეფასების დასაანგარიშებლად წარმოდგენილი მოცემულობების შეფასებების საშუალო არითმეტიკული უნდა გავყოთ 2,5.

(აქ გამოიყენება ფორმულა:  $\frac{S}{X} = \frac{100}{40}$ ;  $\frac{S}{X} = 2,5$ , ე.ი  $X = \frac{S}{2,5}$ , სადაც S მოცემულობების შეფასებების საშუალო არითმეტიკულია)

თუ სტუდენტმა სილაბუსის მიხედვით დადგენილი წარმოსადგენი მოცემულობების ნომინალურ რაოდენობაზე ნაკლები წარმოადგინა, საშუალო არითმეტიკულის გამოთვლისას წარმოუდგენელი მოცემულობა ფასდება 0 - ით, ხოლო ნომინალურ რაოდენობაზე მეტის წარმოადგინისას, მოცემულობების შეფასებების ჯამი იყოფა მათ საერთო რაოდენობაზე.

შესაძლო მაგალითები:

1. სტუდენტი ვალდებული იყო გამოცდაზე წარმოედგინა 7 მოცემულობა, რომლებიც შეფასდა შემდეგი ქულებით: 76, 89, 45, 90, 79, 48 და 67, ამ შემთხვევაში შეფასებათა საშუალო არითმეტიკული შეადგენს:

$S = \frac{76+89+45+90+79+48+67}{7} = 70.5 \approx 71$  (დაახლოებითი მნიშვნელობაა), ხოლო დასკვნითი გამოცდის შეფასება იქნება  $X = 71:2,5 = 28,4 \approx 28$  ქულა.

2. სტუდენტმა ნაცვლად სავალდებულო 7 მოცემულობისა წარმოადგინა - 5 (სავალდებულო რაოდენობაზე ნაკლები) რომლებიც შეფასდა შემდეგი ქულებით: 89, 45, 90, 79, 48, ამ შემთხვევაში:  $S = \frac{89+45+90+79+48}{5} = 50$ , ხოლო დასკვნითი გამოცდის შეფასება  $X = \frac{50}{2,5} = 20$  ქულა.

3. თუ სილაბუსით დადგენილი 7 სავალდებულო მოცემულობის ნაცვლად სტუდენტმა წარმოადგინა 9, რომლებიც შეფასდა შემდეგი ქულებით 76, 89, 45, 90, 79, 48, 67, 99 და 98, ამ შემთხვევაში:  $S = \frac{76+89+45+90+79+48+67+99+98}{9} = 76.7 \approx 77$ , ხოლო დასკვნითი შეფასება  $X = \frac{77}{2,5} = 30,8 \approx 31$  ქულა.

- 0,5 - მდე მრგვალდება ნაკლებისკენ, ხლო 0,5 და შემდეგ - მეტისკენ.

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი  
სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტი  
სახვითი ხელოვნების დეპარტამენტი

სტუდენტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით, სადაც შუალედურ შეფასებას (მე-14 კვირა) ეთმობა 60% (60 ქულა), ხოლო დასკვნით შეფასებას (გამოცდა) 40% (40 ქულა).

სტუდენტი ვალდებულია შუალედურ შეფასებაში დააგროვოს არანაკლებ 30 ქულისა (0-29 ქულა „ჩაიჭრა“), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გამოცდაზე არ დაიშვება.

დასკვნითი შეფასება (გამოცდა) - მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 21 ქულა (0-20 ქულა „ჩაიჭრა“).

სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ჩაეთვლება თუ ის მიიღებს ერთ-ერთს შემდეგი დადებითი შეფასებიდან:

დადებითი შეფასება:

- (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%.

ორი სახის უარყოფითი შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტი „ჩაიჭრა“ შეფასებას დებულობს აგრეთვე:

ა) თუ ის არ იქნა დაშვებული დასკვნით გამოცდაზე;

ბ) ჩაიჭრა დასკვნით ან შესაბამის დამატებით გამოცდაზე.

● FX-ის ან დასკვნით შეფასებაში „ჩაიჭრა“ -ს მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დანიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.